# გოჩა ძიმისტარიშვილი აპირებს გახდეს საქართველოს პარლამენტის დეპუტატი



**ალიონი.** ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ამავე საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ყოფილი თავმჯდომარე, ადვოკატი გოჩა ძიმისტარიშვილი აპირებს გახდეს საქართველოს პარლამენტის დეპუტატი და ამ მიზნით კენჭის იყაროს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.

ამის შესახებ ძიმისტარიშვილმა გასულ ოთხშაბათს, 20 აპრილს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში შეკრებილ საზოგადოებას განუცხადა.

– „თითქმის 14 წელი ვემსახურებოდი და დღესაც ვემსახურები იმ სფეროს, რასაც ადამიანის უფლებათა დაცვა ჰქვია. მართალია 2012 წლამდე არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, მაგრამ აქტიურ წინააღმდეგობას ვუწევდი იმას, რასაც სააკაშვილის არაადამიანური რეჟიმი ერქვა.

2012 წელს დავაფუძნე „პატრიოტთა ალიანსის“ რაიონული ორგანიზაცია, ამავდროულად, ვიყავი ამ ალიანსის წარმომადგენელი გურიის რეგიონში, მოხდა ისე, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში საუკეთესო შედეგი დადო ჩემმა გუნდმა, მაგალითად, თუ თბილისში ალიანსის ხელმძღვანელმა ხმების 5 პროცენტი მიიპოვა, ჩვენ გურიაში 15%-ზე გავედით.

ამ არჩევნებზე ოპოზიციამ ფაქტობრივად უმრავლესობა შეიყვანა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, 15 დეპუტატიდან 9 იყო ოპოზიციონერი, მათ შორის ერთ-ერთი მეც ვიყავი. ეს იმას ნიშნავს, რომ ოზურგეთელების ნებით, ხელისუფლებას სათავეში ოპოზიციური ძალები უნდა ჩადგომოდნენ, მაგრამ მთავრობამ დაგვიწყო ხელშეშლა და დაიწყეს ოპოზიციურად განწყობილი დეპუტატების მოსყიდვა. რაც ეს ვიგრძენი, მის შემდეგ დავიწყე ქალაქ ოზურგეთში

▶▶▶ გვ-2

# გილოცავთ!



ქრისტე აღსდგა! აღსდგა მშვიდობა და ნათელი სოფლისა, აღსდგა სიბრძნე და ჭეშმარიტება! სრულიად საქართველოს, განსაკუთრებით, ჩემს გურულებს ვულოცავ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს! მთავარია, ვეძიებდეთ ღვთის სასუფეველს და მის სიმართლეს და ყოველივე მოგვეცემა. „ნათელი ქრისტესი განგვანათლებს ყოველთა!“ გილოცავთ!

**თემურ სალუქვაძე,**
„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი.


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №17 (10158), 25 აპრილი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.


# გასულ ხუთშაბათს ოზურგეთმა ალექსანდრე ბოლქვაძე დაიტირა



გასულ ხუთშაბათს, 21 აპრილს, ოზურგეთელმა საზოგადოებრიობამ შემოქმედის ეპარქიის რეზიდენციაში დაიტირა და უკანასკნელ გზაზე გააცილა სპორტის ოსტატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ალექსანდრე ბოლქვაძე.

ალექსანდრე ბოლქვაძე რამდენიმეთვიანი მძიმე ავადმყოფობის — ავთვისებიანი სიმსივნის შედეგად გარდაიცვალა 44 წლის ასაკში.

როგორც მოჭიდავეს, მას ქვეყნისა და საერთაშორისო არენაზე ჰქონდა მნიშვნელოვანი წარმატებები, იყო საქართველოს შვიდგზის ჩემპიონი, რამდენჯერმე შევიდა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების პირველ ხუთეულში, ნებისმიერ ტურნირზე, სადაც კი უასპარეზია, ალექსანდრე ანგარიშგასაწევი ძალა იყო უფრო ტიტულოვან ფალავანთათვის, მაგრამ, როგორც სპეციალისტები ამბობენ, მისი ტალანტი სრულად წარმოჩინდა მწვრთნელის ამპლუაში. წლების განმავლობაში ილვაწა ოზურგეთის სასპორტო სკოლაში, განსაკუთრებული ამაგი დასდო სოფელ ლიხაურის ჭიდაობის სკოლას.

კარგი იქნება თუ ამ სკოლას მისი ყოფილი და აწ გარდაცვლილი ხელმძღვანელის ალექსანდრე ბოლქვაძის სახელი მიენიჭება, უნარიანი მწვრთნელისა და ღირსეული პიროვნებისა, რომლის აღზრდილები წარმატებით გამოდიან არა მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატებში, არამედ საერთაშორისო ტურნირებშიც.

ალექსანდრე ბოლქვაძე თავის მშობლიურ სოფელ გულიანში დაკრძალეს.

# მინისტრმა მეფუტკრეობისა და მეკალმახეობის მეურნეობები დაათვალიერა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, გურიის რეგიონის გუბერნატორთან, გია სალუქვაძესთან და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორთან, ლევან უჯმაჯურიძესთან ერთად ოზურგეთში შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში მეფუტკრეობისა და მეკალმახეობის განვითარების მიმართულებით დაფინანსებული მეურნეობები დაათვალიერა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაკიჯვრის მკვიდრმა გივი ნინიძემ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 30 000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი აიღო და საფუტკრე მეურნეობა გააფართოვა. მეურნეობაში ფუტკრის 400 - მდე ოჯახი ჰყავს. მეურნეობის ძირითად საქმიანობას ფუტკრების გამრავლება და შემდგომში მათი რეალიზაცია წარმოადგენს. წელიწადში ხდება 400 დედა ფუტკრის წარმოება და 400 ოჯახის რეალიზაცია. სეზონზე ასევე ხორციელდება 4 - 5 ტონა თაფლის წარმოება და 6-7 ტონა ცვილის დამუშავება. პროდუქციის რეალიზაცია ქვეყნის მასშტაბით გურიის, აჭარის, სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონებში ხორციელდება.



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაკიჯვარში მდებარე საკალმახე მეურნეობამ შპს „აგიამ“ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით ისარგებლა და 420 500 აშშ დოლარის ოდენობის დაფინანსებით წარმოება გააფართოვა. საკალმახე მეურნეობა წელიწადში 300 ტონა კალმახს და 3.5 ტონა ხიზილალას აწარმოებს. მიღებული პროდუქციის 70%-ის რეალიზაცია თბილისში, ხოლო დანარჩენი 30 %-ის დასავლეთ საქართველოს რეგიონებში ხორციელდება. საწარმოში ამ ეტაპზე დასაქმებულია 44 ადამიანი. მომავალში კომპანია მეურნეობის ტერიტორიაზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას აგროტურიზმის განვითარებას გეგმავს.

— „სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტები სოფლის მეურნეობის დარგის სწრაფ და ეფექტიან განვითარებას ემსახურება. მეფუტკრეობის და მეთევზეობის დარგების განვითარება ჩვენი პრიორიტეტებია, რადგან ამ მიმართულებით საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს. დარგების სწორად განვითარებისთვის მნიშვნელოვანია დაინერგოს ევროკავშირის სტანდარტები და მეთოდოლოგიები. ამ კუთხით აქტიურად ვმუშაობთ როგორც სამეცნიერო მიმართულებით და ადგილობრივი ფერმერების ცოდნის ამაღლების, ისე სასოფლო-სამეურნეო კოოპერირების განვითარების კუთხით“, — აღნიშნა ოთარ დანელიამ.

სოფლის მეურნეობის სამინიტროს პროექტების მართვის სააგენტომ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის განხორციელება 2013 წელს დაიწყო და პროექტის ფარგლებში ამ ეტაპისთვის 700 საწარმოა გაფართოებულ-გადაიარაღებული.

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 50 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2 ლარი,**
**სამი თვით – 6 ლარი,**
**6 თვით –12 ლარი,**
**ერთი წლით – 24 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



დაიწყეთ ყოველი დილა ალიონზე

«ალიონით»


# გოჩა ძიმისტარიშვილი აპირებს გახდეს საქართველოს პარლამენტის დეპუტატი

„ქართული ოცნების“ სახეების წინააღმდეგ ბრძოლა. არ მოსწონთ, როცა ამას ვამბობ და ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ კომისიის თავმჯდომარეობიდან გამომიშვეს. მათი თქმით, „სკამს ვაფუჭებდი“. 1500 ლარი მქონდა ხელფასი, არაფერი მაკლდა, მაგრამ მე ხალხის არჩეული ვიყავი და ვარჩიე დამეცვა ხალხის ინტერესები. წამოვედი, მაგრამ ბრძოლა არ შემიწყვეტია“, – განაცხადა შეხვედრაზე ძიმისტარიშვილმა.

აქვე თქვა, რას გააკეთებს ის, თუ საქართველოს პარლამენტის წევრი გახდება:

– „პირველ რიგში, ვიბრძოლებ იმისთვის, რომ ცვლილებები შევიდეს ადგილობრივი თვითმმართველობის კანონში - ათას კაცზე ერთი საჯარო მოხელე. ამით გამოთავისუფლდება ასეულმილიონობით ლარი, რაც მოხმარდება სხვა სფეროებს.

მაქვს პროექტი სასამართლო რეფორმაზე. ვისაც შეხება აქვს სასამართლოსთან, იცის, რომ დავები გრძელდება ერთი, ორი, სამი წელიც კი. ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში, სასამართლო დავები დამთავრდება უმოკლეს ვადებში – 6 თვეში, განსაკუთრებულ შემთხვევებში ერთ წელიწადში.

დავსვამ საკითხს მუნიციპალიტეტებს მიეცეთ მოსახლეობისთვის კრედიტების გაცემის უფლება 5000 ლარის ფარგლებში, დიდ თანხებს არ ვგულისხმობ.

ეს უფრო საინფორმაციო ხასიათის შეხვედრაა, სრულ პროგრამას ამომრჩევლებს წინასაარჩევნო პერიოდში გასამართ შეხვედრებზე გავაცნობ.

მიმაჩნია, რომ პარლამენტი უნდა იყოს მრავალპარტიული, მაშინ მინიმუმამდე დავა კორუფცია და გაძლიერდება ხელისუფლების კონტროლი“, – თქვა მომავალმა კანდიდატმა.

როგორც ძიმისტარიშვილმა აღნიშნა, მას კანდიდატად წარადგენს კახა კუკავას „თავისუფალი საქართველო“, ან არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიის გაერთიანება, თუ შეთანხმდებიან და ასეთი გაერთიანება შეიქმნება საარჩევნოდ

# კულტურისა და დასვენების პარკის „აქილევსის ქუსლად“ მიჩნეული კუთხე წიგნების მოყვარულთა ბუდედ იქცა



**ალიონი**. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და დასვენების პარკის „აქილევსის ქუსლად“ მიჩნეული კუთხე წიგნების მოყვარულთა ბუდედ იქცა.

ზოგადად, დიდი და პატარა ქალაქებისათვის სკვერი და პარკი ყოველთვის იყო ურთიერთობებისა და დასვენების ადგილი, რომლებიც, დროთა ვითარების მიხედვით, ფუნქციას კარგავდნენ და შემდეგ ისევ იძენდნენ... გამონაკლისი არც ქალაქ ოზურგეთია, სადაც რამდენიმე, დღეს უკვე კარგ ფორმაში მყოფი, ბაღი ფუნქციონირებს.

ე. წ. „აქილევსი ქუსლად“ ქცეულ კუთხეში ჩიტების ბუდეების შექმნის იდეა პარკის დირექტორს ქალბატონ ინგა დუმბაძეს ეკუთვნის:

„იდეა – პარკის „აქილევსის ქუსლად“ მიჩნეულ კუთხეში ჩიტების ბუდეები შექმნილიყო, – ორიოდე წლის წინათ დაგვებადა... ამას წიგნების სახლიც მოჰყვა.

ვფიქრობდით, როგორმე უმტკივნეულოდ გადაგვეჭრა პარკის ერთ-ერთი პერიფერიული კუთხის პრობლემა, რომელიც ფაქტობრივად ბანქოსა და ალკოჰოლიანი სასმელის მოყვარულთა თავშეყრის ბუდედ იყო ქცეული. არ გვინდოდა, ამ ისედაც უიმედო, უმუშევარი ადამიანებისათვის ტკივილი მიგვეყენებინა და სამართალდამცველების დახმარებით აღგვეკვეთა პარკის ტერიტორიაზე მათი მანკიერი ქმედება.

ვეცადეთ, სულიერზე გადაგვეტანა მოქალაქეთა ყურადღება და დავწერეთ პროექტი. რჩევისთვის მივმართეთ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორს, ბატონ გიორგი კეკელიძეს, რომელიც მაშინვე გვერდით დაგვიდგა და მალე საჩუქრად ჩამოგვიტანა წიგნების სახლი და სადღეისო აქტუალურად მიჩნეული ლიტერატურა. რა თქმა უნდა, შესაბამისად გვერდში ქალაქის მერია დაგვიდგა.

საბედნიეროდ, წიგნების სახლი მალე ლიტერატურის მოყვარულთა თბილ ბუდედ იქცა, იგი, ფაქტობრივად, სულიერი სიმშვიდის ნავსაყუდელია, რომელიც პერიოდულად ივსება სხვადასხვა გამომცემლობის მიერ მოწოდებული ლიტერატურით. ამავე დროს, აქ მოაქვთ საინტერესო წიგნები საოჯახო ბიბლიოთეკებიდანაც“, – აღნიშნა „ალიონთან“ საუბარში ქალბატონმა ინგა დუმბაძემ.

მისივე თქმით, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, მსგავსი სახლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დაიდგმება, მასზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება.

# მაკვანეთში ტოლერანტობით გამორჩეულ ბავშვებს ზრდიან



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო ცენტრის პროფესიული საქმიანობა როგორც სტრუქტურულად, ისე თემატურად უფრო და უფრო საინტერესო, მიმზიდველი და, რაც მთავარია, შედეგიანი ხდება.

საბავშვო ბაღებში წარმატებით მიმდინარეობს შემაჯამებელი აქტივობები სხვადასხვა თემაზე. ამის ნათელი ილუსტრირებაა სოფელ მაკვანეთის საბავშვო ბაღში აღმზრდელ ნ. ანთიძის მიერ 5-6-წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში ტოლერანტობის თემაზე გამართული შემაჯამებელი აქტივობა.

წრეზე დამსხდარმა ბავშვებმა ჯერ წარმოადგინეს თავიანთი სამუშაო ცენტრების (ხელოვნება, სამაგიდო, სენსორული და ფრონტალური მუსიკა და მოძრაობა) მიხედვით, შემდეგ კი – გამართეს საუბარი-კომუნიკაცია ხასიათის განსხვავებულობაზე, ერთმანეთისგან ბევრის სწავლასა და ერთმანეთისთვის დახმარებაზე. აღნიშნეს, რომ ყველა ადამიანი განსაკუთრებულია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეებით, ყველა ერთნაირი რომ ყოფილიყო, სამყარო ძალიან მოსაწყენი იქნებოდა, ყველა ადამიანს სჭირდება მეგობარი და მეგობრის დახმარება, რასაც ვერ შევძლებთ დაცინვით ან ერთმანეთის იმიტირებით. ერთმანეთს შენიშვნა უნდა მივცეთ ზრდილობიანად ვიყოთ მომთმენები და მეგობრულები, ე. ი. ტოლერანტულები, უნდა შეგვეძლოს განსხვავებულებთან თანაცხოვრება, მეგობრობა.

იდებატეს თემაზე – ტოლერანტობა დადებითი თვისებაა თუ უარყოფითი.

განსხავებებზე საუბრისას ყურადღება გაამახვილეს მრავალფეროვნებაზე – სამყაროში აურაცხელი რაოდენობის ფერზე.

გაშალეს საქართველოს რუკა, დამსწრეთ აჩვენეს თუ რომელ კუთხეებს და რეგიონებს იცნობენ ტრადიციული საქმიანობით, ტრადიციული კერძებით, ეროვნული ჩაცმულობით. მოგვითხრეს საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებზე – სომხებზე, რუსებზე, ბერძნებზე, ებრაელებსა და სხვებზე, რომლებთანაც ერთად ვუვლით ჩვენს ქვეყანას.

შემდეგ გლობუსის საშუალებით მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტსა და ქვეყნებში „იმოგზაურეს“ აქაც ნახეს განსხვავებები კულტურაში, ტრადიციაში, რასაში, ბუნებრივ პირობებში, ყოფაცხოვრებაში, ენებსა და დამწერლობებში.

ბოლოს გადასხდნენ ხელოვნების ხსენებულ ცენტრებში. ხელოვნების ცენტრში გააფერადეს ნაციონაურ ტანსაცმელში ჩაცმული ადამიანების გამოსახულებები; სამაგიდო ცენტრში ქართული, ჩინური, ლათინური ასო-ბგერებისაგან გამოყვეს ქართული ბგერები და შეადგინეს სიტყვები; სენსორულ ცენტრში დააწყვილეს სხვადსხვა სახის ქსოვილები. შემდეგ გადავიდნენ ფრონტალურ აქტივობაზე მუსიკასა და მოძრაობაში. მოისმინეს ქართული, ბერძნული, ინდური და აფრიკული მელოდიები, გააკეთეს შესაბამისი მოძრაობები.

მივიდნენ დასკვნამდე, რომ რაც უფრო მრავალფეროვანია სამყარო, მით უფრო საინტერესოა იგი, რომ უნდა ისწავლონ თანაცხოვრება განსხვავებულებთან და იყვნენ ტოლერანტულები, რომ მათ გარშემო არიან კიდევ უფრო განსხვავებული ადამიანები; ზოგი ეტლით გადაადგილდება, ზოგი – ჯოხით, ზოგი ხელებით საუბრობს... მათ დახმარება და მეგობრობა სჭირდებათ, რომ ცხოვრება გაუადვილდეთ.

ერთი სიტყვით, სოფელ მაკვანეთის საბავშვო ბაღში ტოლერანტობით გამორჩეულ ბავშვებს ზრდიან.

# ბახველი ბავშვები ქართული ხალხური სიმღერების სამყაროში

**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო-სასწავლო ცენტრის საბავშვო ბაღებში გრძელდება შემაჯამებელი აქტივობები თემაზე ტოლერანტობა და ამ მიზნით მაკვანეთის საბავშვო ბაღის აღმზრდელის ნანული ანთიძის მუშაობის განზოგადება.

პროექტით ასევე გათვალისწინებულია ღია აქტივობების ჩატარება თემაზე „ერთი დღე ქართული ხალხური სიმღერის სამყაროში“.

გასულ კვირას სწორედ ამ თემაზე მოაწყო პოლიფონიური ღონისძიება სოფელ ბახვის საბავშვო ბაღმა( მენეჯერი თ. თოიძე, მუსიკის მასწავლებელი მ. მამალაძე).

ღონისძიებები მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გაცნობა-გამოყენებისათვის სოფელ ბახვის საბავშვო ბაღში მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გაცნობა-გამოყენების მიზნით.

ღონისძიებამ აჩვენა, რომ ქართული ხალხური მუსიკა ეროვნული საგანძურია და და ამ საგანძურს, ბახველი ბავშვების სახით, საიმედო დამცველი და გამხმიანებელი ჰყავს.

**პრაქტიკანტების მასალები**

# 16 წელი უბუფეტოდ

უკვე 16 წელია, რაც სოფელ კონჭკათის საჯარო სკოლაში აღარ ფუნქციონირებს ბუფეტი და მოსწავლეები სკოლასთან ახლომდებარე მაღაზიაში შეძენილი პროდუქტებით იკვებებიან. გავრცელებული ინფორმაციით, რამდენიმე ბავშვს ჯანმრთელობა შეელახა, კერძოდ, შეექმნათ კუჭ-ნაწლავის ნორმალური მოქმედების პრობლემა.

სკოლის დირექტორის, ბატონი მინდია გოთუას თქმით, ჯერჯერობით არ ჩანს სკოლაში ბუფეტის ამოქმედების პერსპექტივა:

„მხოლოდ ფართის გამოყოფა რომ შველოდეს, დღესვე მოვხსნიდით ამ პრობლემას. აუცილებელია შესაბამისი ინვენტარ-მოწყობილობების შეძენა და, რაც ყველაზე მთავარია, ბუფეტის მომარაგება ხარისხოვანი, მოსწავლეთა ჯანმრთელობისათვის უვნებელი პროდუქტებით. სამწუხაროდ, უფინანსობის გამო, ჯერჯერობით ეს პრობლემა მოუგვარებელია“.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ანალოგიური პრობლემაა გურიის რეგიონის სოფლის სკოლების უმეტესობაში.

**თეონა ქათამიძე**

# მაკვანეთში ახალი სკვერი გაშენდება

მაკვანეთის საჯარო სკოლის კლუბის „XXI“ წევრებმა გადავწყვიტეთ მაკვანეთის ცენტრში მაკვანეთის ცენტრში გავაშენოთ სკვერი. მივმართეთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელს სოფელ მაკვანეთში, ბატონ ლ. ნიკოლაიშვილს, რომელმაც მოიწონა იდეა და შესაბამისი დახმარებაც აღგვითქვა.

აპრილში დავიწყებთ მუშაობას, რა თქმა უნდა, სოფლის თემთან თანამშრომლობით.

ჩემთვის, როგორც კლუბის ლიდერისთვის, მნიშვნელოვანია მსგავსი ღონისძიებების ჩატარება, რათა მეტი სტიმული მივცეთ ჩვენს თანატოლებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ, პროექტში კლუბის წევრებს გარდა, ჩართულია სკოლის მოსწავლეები და მაღალია მათი აქტიურობის დონე.

**სოფო მუჯირი.**

# პროგრამის შეცვლის გამო მინისტრთან შეხვედრებს ვერ დავესწარით



**ალიონი.** 19 აპრილს ოზურგეთში სამუშაო ვიზიტით იმყოფება საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი, ბატონი ოთარ დანელია. პროგრამის მიხედვით, მინისტრი ჯერ უნდა მისულიყო ხსენებული სამინისტროს ოზურგეთის რეგიონულ ლაბორატორიაში, იქედან – ოზურგეთის სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლობაში, შემდეგ –ანასეულში, დიაგნოსტიკის ცენტრში, ბოლოს კი –ვაკიჯვარში, ინდმეწარმე გივი ნინიძის მეფუტკრეობის საწარმოში.

რეპორტაჟის მომზადების მიზნით 15 წუთით ადრე, 13 საათზე მივედით ლაბორატორიასთან, სადაც 15-20 წუთის შემდეგ 6 ქალბატონი გამოჩნდა და, როგორც თქვეს, მინისტრთან აპირებდნენ შეხვედრას. აქვე იმყოფებოდა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი სალომე ქარელი. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ ბატონმა მინისტრმა თავი აარიდა ამ ქალბატონებთან შეხვედრას, მაგრამ მოხდა ისე, ის ჯერ სურსათი ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლობაში მივიდა, იქედან კი – პირდაპირ ანასეულში. მას შემდეგ, რაც გუბერნატორის საზოგადო-ებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო ლომჯარიამ გვითხრა, რომ მინისტრი შესაძლოა ანასეულიდან პირდაპირ ვაკიჯვარში წასულიყო, 15 საათსა და 10 წუთზე ლაბორატორიის ტერიტორია დავტოვეთ და ქალბატონების თხოვნით მათი საუბარი ჩავიწერეთ ფლიტ-კამერაზე.

### „აქცია რომ გვნდომოდა, აქ 500 კაცი მოვიდოდა“

–გვაინტერსებდა, რატომ არის დაინტერესებული ინდოეთის ელჩი, რომ ტყვიის გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნას ოზურგეთში.მე უკვე ასაკში ვარ, მაგრამ შთამომავლობა მრჩება, ჩემს ოჯახში 9 სული ცხოვრობს და მინდა მათ ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ვიფიქრო. დარწმუნებული ვართ, მათ ზურგს უკან ვიღაცაები დგანან.– აღნიშნა ფლიტ-კამერასთან თაყაიშვილის ქუჩის მცხოვრებმა ცისანა ურუშაძემ.

–თავიდან იმედი გვქონდა, რომ აქ მანქანათმშენებელი ქარხანა ამოქმედებოდა ან სხვა საწარმო გაიხსნებოდა და ახალგაზრდები დასაქმდებოდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ახლა მიუხედავად ამდენი საპროტესტო გამოსვლისა, საჩივრებისა, შპს „ჯეოგამამამუშავებელი“ კვლავ ტყვიის საწარმოს გახსნას გეგმავს. ამის შესახებ იწერება პრესაში. დასახლებულ პუნქტში მავნე საწარმო არ უნდა გაიხსნას–გვითხრა ამავე უბნელმა ხათუნა ცირეკიძემ.

–რატომ არ მიმართავთ მინისტრს წერილობით, შეგიძლიათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელს გადასცეთ თქვენი მოთხოვნები ...

–აქცია რომ გვდომებოდა, აქ ახლა 500 კაცზე მეტი იქნებოდა. ჩვენ მხოლოდ მინისტრის საქმის კურსში ჩაყენება გვინდოდა. ქალბატონ სალომეს რა თქმა უნდა ვესაუბრეთ, და იმედი გვაქვს ჩვენს ნათქვამს მინისტრს გადასცემს–აღნიშნეს მათ.

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში რკინა-ბეტონის გზები დაიგო

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ნატანებსა და შრომაში რკინა-ბეტონის გზები დაიგო. 480 გრძივი მეტრი ბეტონის საფარი განსაკუთრებულად რთულ საგზაო მონაკვეთებზე მოეწყო სოფელ ნატანებში (ჯაფარეულას უბანი და ხომერიკების უბანი) სამუშაოების ღირებულება 58 999 ლარს შეადგენს. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. სამშენებლო სამუშაოები კომპანია შპს „ჭედამ“ შეასრულა.

ბეტონის საფარი მოეწყო შრომის თემში (ზედუბანი). საგზაო მონაკვეთის სიგრძე 430 მეტრია. ზედუბანში გადაადგილება მაღალი გამავლობის ტრანსპორტისთვისაც კი პრობლემას წარმოადგენდა. სამუშაოები შპს „უნივერსალმა“ განახორციელა.

სოფლებში დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ, საკრებულოს თავმჯდომარესთან - დავით დარჩიასთან, მოადგილესთან, ბადრი გობრონიძესთან და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსთან - გოჩა აბაშმაძესთან ერთად დაათვალიერა.

– „მუნიციპალიტეტი ამორტიზებული შიდა გზების რეაბილიტაციას ეტაპობრივად ახორციელებს. პირველ რიგში, ყველაზე პრობლემურ ადგილებს ვაწესრიგებთ. გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ხოლო ნაწილი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება. მალე დავიწყებთ ამორტიზებული საგზაო მონაკვეთების მოხრეშვით სამუშაოებსაც,“ – აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ.



# მხარის ხელისუფლება ამ დღეებში შშმ პირებისათვის 50 ეტლს შემოიტანს

**ალიონი**. გურიისხარის ხელისუფლება ამ დღეებში შშმ პირებისათვის 50 ცალ ინდივიდუალურ ეტლს შემოიტანს. ამის შესახებ დღეს გურიის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ, ქეთი მოისწრაფეშვილმა გვითხრა.

– სამი თვის წინ 21 სტანდარტული ეტლი დავარიგეთ. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ საქართველოში 126 ეტლი შემოიტანა, აქედან ჩვენ 50 ეტლს მოგვაწვდის. ისინი წინასწარ ყველა ბენეფიციართან იყვნენ და ინდივიდუალურად დამზადდა ყველა ეტლი. ეტლებს სავარაუდოდ კვირის ბოლოს დავარიგებთ –აღნიშნა ჩვენთან საუბარში ქეთი მოისწრაფეშვილმა.

როგორც მან გვითხრა, 3 თვის შემდეგ აღნიშნული ორგანიზაცია კიდევ 20 ეტლს მიაწვდით.

# ჩერნობილის ტრაგედიიდან 30 წელი გავიდა

**ალიონი**. 26 აპრილს ჩერნობილის ტრაგედიიდან 30 წელი სრულდება. ამასთან დაკავშირებით გურიის რეგიონის ნარკოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი გია თავბერიძე და გურიის ჩერნობილელთა კავშირის თავმჯდომარე მალხაზ აროშიძე 26-ში შეხვედრას გურიის ნარკოლოგიურ ცენტრში ჩატარებენ. ორგანიზატორების თქმით, გურიის რეგიონიდან ჩერნობილში სალიკვიდაციო სამუშაოებზე 70 ადამიანი მუშაობდა. რამდენიმე მათგანი უკვე გარდაცვლილია.



თავბერიძე და აროშიძე დადებითად აფასებენ ფაქტს, რომ მათ, ვინც ჩერნობილში მუშაობდნენ, ვეტერანთა სტატუსი აღუდგებათ. ცნობისთვის სტატუსის შეჩერება 2005 წელს მოხდა.

გვითხრეს, რომ ვეტერანების საკითხებთან დაკავშირებით გურიის გუბერნიის აპარატთან ჰქონდათ შეხვედრა და დახმარების შესახებ სიტყვიერი დაპირებაც მიიღეს.

# შეიქმნა ჩაის კოოპერატივები

საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში, რომელიც ჩაის ფართობების რეაბილიტაციას ითვალისწინებს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შეიქმნა და ჩამოყალიბების პროცესშია ჩაის კოოპერატივები.

შპს „მილმარტი,“ (შემოქმედის ჩაი) „ნათურათი პროდუქტი“ (გურიანთის ჩაი) და სხვა მცირე საწარმოები უკვე მზად არიან პირველი ნედლეულის მისაღებად.

სოფელ სილაურში (ნასკირალის დასახლება) დაიწყო ჩაის შერჩევითი კრეფა. სილაურში მოქმედ კოოპერატივში დასაქმებულ ფერმერებს ოზურგეთის მუნიციალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობს განვითარების სამსახურის უფროსი - გიორგი ხარაბაძე და „მილმარტის“ დირექტორი - ირაკლი ღლონტი შეხვდნენ.

# გურიის მხარის ადმინისტრაციას, თემებისა და ქალაქის მუნიციპალიტეტებს

მე ოთარ თედორაძე გახლავართ, 80 წლის. პროფესიით ვარ მჭედელი. ვჭედავ და ვარემონტებ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, როგორიცაა: თოხი, წალდი, ნაჯახი, სახნისი, ნალი, ლურსმანი და ა.შ. სანამ ყოფილი საბჭოთა კავშირი არსებობდა, ჩვენ (მაშინ ბევრნი ვიყავით), ვემსახურებოდით კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს. ყოველგვარი საჭიროების ნედლეულს, როგორიცაა რკინა, ქვანახშირი, გვამარაგებდნენ ცენტრალიზებულად. რუსეთიდან, უკრაინიდან შემოდიოდა სპეციალური ნახშირი მჭედლებისთვის.

გასული საუკუნის 90-იანი წლების შემდეგ განსაკუთებული პრობლემა შეგვექმნა ყველა ნედლეულზე, განსაკუთრებით ქვანახშირზე. ამჟამად მართალია უკრაინიდან შემოდის ე.წ. „კოქსი“, რომელიც ცალკეულ ბიზნესმენებს შემოაქვთ ისეთი საწარმოებისთვის, როგორიცაა ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა, რუსთავის მეტალურგიული საწარმო და ა.შ.

ორად ორი მჭედელი ვართ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, მე და სანდრო რამიშვილი. წინა ხელისუფლების დროს არაერთხელ მივმართეთ გურიის მხარის ადმინისტრაციას, ადგილობრივ გამგეობას, რომ დაგვხმარებოდნენ კოქსი ნახშირის შეძენაში, მაგრამ ასეთი პასუხი მივიღე:-„შენი თხოვნა ბუნებაში არ არსებობს, თავისუფალი მოქალაქე ხარ და შენ თვითონ იშოვეო.“



ჩვენ მცირე მეწარმეები ვართ. თუ უკრაინიდან ერთ ვაგონ ქვანახშირს გამოიწერ, დიდი ფული სჭირდება, რაც ჩვენ არ გვაქვს. ორთავე მჭედელი წელიწადში კი მოვიხმართ 6-8 ტონას. ამიტომ მოგმართავთ თხოვნით: „კოქსი“ ნახშირი შემოდის ფოთის პორტში, რომელიც ჩვენთვის მიუწვდომელია, რადგან იგი რომელიმე ბაზაში არ იყიდება და რომ შევიძინოთ კანონიერად. კი გვთავაზობენ ტყიბულის ქვანახშირს, მაგრამ იგი ჩვენთვის გამოუსადეგარია. იქნებ დაგვეხმაროთ და დააყენოთ საკითხი სამთავრობო დონეზე (დაინტერესეს სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის სამინისტროები), რომ ქ. ფოთში, პორტში ან სხვა ადგილას შეგვეძლოს ქვანახშირის შეძენა.

**ოთარ თედორაძე.**
სოფელ ბოხვაურის მცხოვრები

# თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს

| დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | მიწის ფართი კვმ | მიწ. შენობის ფართი კვმ | „ბე" 10 % (ლარი) | „ბიჯი" 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა | სოფ. ბოხვაური | 26.17.13.118 | 270 | 41 | 244,6 | 122,3 | 50 | 2446,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. გურიანთა | 26.06.25.218 | 48 | | 38,4 | 19,2 | 50 | 384,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ლიხაური | 26.16.19.141 | 50 | | 75 | 37,5 | 50 | 750,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. შრომა | 26.02.22.023 | 500 | | 250 | 125 | 50 | 2500,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ლაითური | 26.25.08.111 | 240 | | 120 | 60 | 50 | 1200,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. მამათი | 26.10.20.024 | 150 | | 120 | 60 | 50 | 1200,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ოზურგეთი | 26.12.21.064 | 71 | | 85,2 | 42,6 | 50 | 852,0 |

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;
საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

## თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს ვადაგაგრძელებულ აუქციონს

| დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | მიწის ფართი კვმ | მიწ. შენობის ფართი კვმ | „ბე" 10 % (ლარი) | „ბიჯი" 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ნატანები, შეკვეთილი | 26.01.45.218 | 19205 | | 115230 | 57615 | 50 | 1152300 |

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;
საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

## „თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს განმეორებით აუქციონს"

| დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | მიწის ფართი კვმ | მიწ. შენობის ფართი კვმ | „ბე" 10 % (ლარი) | „ბიჯი" 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშ-ნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა | სოფ. მერია | 26.05.38.018 | 1323 | 592 | 2200 | 1100 | 50 | 22000 |

აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;
საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;

## სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები

| # | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრ კოდი | მიწის ფართი კვმ | „ბე" 10 % (ლარი) | „ბიჯი" 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. შრომა | 26.02.23.056 | 2 114 | 63,42 | 31,71 | 50 | 634,20 |
| 2 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. შრომა | 26.02.23.057 | 1 200 | 36,00 | 18,00 | 50 | 360,00 |
| 3 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. მერია | 26.05.21.063 | 33 046 | 991,38 | 495,69 | 50 | 9913,80 |
| 4 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. მერია | 26.05.39.095 | 800 | 24,00 | 12,00 | 50 | 240,00 |
| 5 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. მამათი | 26.10.20.018 | 1 995 | 59,80 | 29,90 | 50 | 598,00 |
| 6 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ჩანიეთი | 26.15.08.099 | 42 000 | 1260,00 | 630,00 | 50 | 12600,00 |
| 7 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ჩანიეთი | 26.15.08.117 | 3 270 | 98,10 | 49,05 | 50 | 981,00 |
| 8 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. გურიანთა | 26.06.18.042 | 500 | 15,00 | 7,50 | 50 | 150,00 |
| 9 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. გურიანთა | 26.06.26.088 | 1 800 | 54,00 | 27,00 | 50 | 540,00 |
| 10 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ვაკიჯვარი | 26.21.17.212 | 1 503 | 52,61 | 26,30 | 50 | 526,05 |
| 11 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | გარე სავარგულები | 26.36.24.047 | 1 800 | 45,00 | 22,50 | 50 | 450,00 |
| 12 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ლიხაური | 26.16.16.064 | 42 300 | 1269,00 | 634,50 | 50 | 12690,00 |
| 13 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ლიხაური | 26.16.17.180 | 7 000 | 245,00 | 122,50 | 50 | 2450,00 |
| 14 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ლიხაური | 26.16.16.071 | 30 000 | 1050,00 | 525,00 | 50 | 10500,00 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ნასაკირალი | 26.29.28.122 | 1 514 | 60,56 | 30,28 | 50 | 605,60 |
| 16 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | სოფ. ბაილეთი | 26.07.13.035 | 5 785 | 173,50 | 86,75 | 50 | 1735,00 |
| 17 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ლაითური | 26.25.12.101 | 4 500 | 180,00 | 90,00 | 50 | 1800,00 |
| 18 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ლაითური | 26.25.13.154 | 6 727 | 269,08 | 134,54 | 50 | 2690,80 |
| 19 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ლაითური | 26.25.13.153 | 10 330 | 413,20 | 206,60 | 50 | 4132,00 |
| 20 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ლაითური | 26.25.13.159 | 11 252 | 450,08 | 225,04 | 50 | 4500,80 |
| 21 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ლაითური | 26.25.13.160 | 5 198 | 207,92 | 103,96 | 50 | 2079,20 |
| 22 | სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი | დაბა ლაითური | 26.25.13.162 | 4 144 | 165,76 | 82,88 | 50 | 1657,60 |

**აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;**

**საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;**

## თვითმმართველი თემი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს იჯარით წესით სარგებლობისათვის

| № | დასახელება | მდებარეობა | საკადასტრო კოდი | სულ ფართი კვმ | გასაქირავებელი ფართი კვმ | „ბე" 10 % (ლარი) | „ბიჯი" 5 % (ლარი) | მონაწილის ბილეთი (ლარი) | გასაქირავებელი ქონების სრული ღირებულება(ლარი) | გასაქირავებელი ქონების სრული ღირებ-ბის 10% (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფართი მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ შენობაში | სოფ. ნატანები | 26.01.85.005 | 387,20 | 63,30 | 75,96 | 37,98 | 50,00 | 7 596,00 | 759,60 |
| 2 | ფართი მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ შენობაში | სოფ. შრომა | 26.02.22.001 | 1 026,80 | 41,00 | 61,50 | 30,75 | 50,00 | 6 150,00 | 615,00 |
| 3 | ფართი მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ შენობაში | სოფ. თხინვალი | 26.04.10.082 | 661,10 | 15,07 | 22,61 | 11,30 | 50,00 | 2 260,50 | 226,05 |
| 4 | ფართი მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ შენობაში | სოფ. თხინვალი | 26.04.10.082 | 661,10 | 12,59 | 18,89 | 9,44 | 50,00 | 1 888,50 | 188,85 |
| 5 | ფართი მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ შენობაში | დაბა ლაითური | 26.25.12.003 | 432,90 | 6,00 | 6,79 | 3,40 | 50,00 | 679,00 | 67,90 |
| 6 | ფართი მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ შენობაში | სოფ. სილაური | 26.09.15.002 | 422,60 | 20,00 | 20,00 | 10,00 | 50,00 | 2 000,00 | 200,00 |
| 7 | ფანჩატური | დაბა ურეკი | 26.28.17.010 | 52,70 | 52,70 | 79,05 | 39,53 | 50,00 | 7 905,00 | 790,50 |
| 8 | ტურიზმის ცენტრი | დაბა ურეკი | 26.28.21.047 | 33,80 | 33,80 | 67,40 | 33,70 | 50,00 | 6 740,00 | 674,00 |

**აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია საწყის ფასზე ბიჯის დანამატის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;**

**საპრივატიზაციო თანხის დაფარვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში;**

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

* დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
* „ბე"-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
* მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
* პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
* ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
* სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);

* მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა) ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.
* სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემძენი შეიძლება იყოს კანონით განსაზღვრული პირი.

* "მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე 300903205
"
* "„ბე"-ს საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების ერთიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდზე:

- არასაცხოვრებელი შენობა 300903313;
- საცხოვრებელი შენობა 300903306
- არასასოფლო მიწა 300903390;
- სასოფლო-სამეურნეო მიწა 300903394.

"
* "დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შექმნილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიაში"; მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა;"

* "აუქციონში მსურველთა განცხადებების მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2016 წლის 25 აპრილიდან 25 მაისის 12 სთ-მდე;"
* **აუქციონი ჩატარდება 2016 წლის 25 მაისს, 14 სთ-ზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შენობაში;**
* **"ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემ მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია"**

**ტელ: 599 704 770, 595 906 305, 599 333 223."**

## განცხადება

2016 წლის 27 აპრილს, 14 საათზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1) გაიმართება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდ. ნატანებზე „ნატანები 2 ჰესის" (სიმძლავრით 9,45 მგვტ) მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის საჯარო განხილვა.

საქმიანობა ითვალისწინებს მდ. ნატანებზე, სოფ. ვაკიჯვრის მიდამოებში დერივაციული ტიპის არარეგ-ულირებადი (წყალსაცავის გარეშე) ჰიდროელე-ქტროსადგურის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში - ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. 1;
- შპს „გამა კონსალტინგი"-ს ოფისში – ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი 17ა. ტელ: 2 60 15 27.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები მიაწოდოთ ქვემოთ მითითებულ პირებს:

- გიგა დვალიშვილი. ტელ: 599274020; E-mail: gdvalishvili@energysolutions.ge ;
- გიორგი ბჟალავა. ტელ: 595287560; E-mail: goga@gamma.ge ;

შპს „ენერჯი სოლუშენს ნატანები"-ს ადმინისტრაცია

## ძვირფასო მეგობრებო!




4 მაისს, 15 საათზე, ოზურგეთში, რესტორანში „არგო" გაიმართება „პასქის ფესტივალის" მე-5, საიუბილეო გამოფენა.

მონაწილეობისა და სპონსორობის მსურველებმა მოგვმართეთ: 595 62 51 15; liakila8@gmail.com

წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის.

ფესტივალის დამფუძნებელი
ლია კილაძე.

## განცხადება

იყიდება ოზურგეთის ცენტრში კომპლექსი „არგო" თავისი მიწით მთლიანად ან ცალ-ცალკე. შენობაზე შეიძლება დაშენდეს ორი სართული. სარიტუალო დარბაზი – 400 კაცი, რესტორანი - 120 კაცი, ვიპ-კუპე - 50 კაცი. საერთო ფართი – 500 კვ. მ.

ტელ. 555 75 42 09

# სკანვორდი




### № 16-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — პენელოპა კრუსი; ბაბილონური კალენდარი — ნისანუ; კანის დაავადება — სებორეა; ნაცვალსახელი — ის; ნავსადგური — პორტი; სავარჯიშო იარაღი — ტაიჯი; ანბანის მე-9 ასო — ი; ყვავ-ილი — ბეგონია; კანის ქრონიკული დაავადება — ფსორიოზი; მუნიციპალიტეტი გურიაში — ჩოხატაური; ხეხილოვანი მცენარე — ჭანჭური; ნაცია — ერი; ზღვარი — რუბიკონი; მდინარე გერმანიაში — რაინი; მდინარე ბრაზილიაში — არაგუაია; ქართული ცეკვა — კინტაური; სამაგიდო თამაში — ნარდი; ღვინისა და არყის გამყიდველი ვაჭარი — სირაჯი; ერთ-ერთი კენტავრი — როიკოსა; ჯუჯა ცხენი — პონი; მიწისა და ნაყოფიერების ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში — მაია; ჩაპლინის მეუღლის სახელი — უნა; თასმა, ქამარი — ღუშაყი; უნგრეთის დედაქალაქი — ბუდაპეშტი; ქსოვილი — შიფონი; მდინარე აშშ-ში — მისისიპი; ძვირფასი ქვა — იაგუნდი; დიდი კოვზი — ჩამჩა; შიკრიკი, მალემსრბოლი — იფრინდა.

# თქვენი თითების სითბო დალოცვასავით გამყვა ცხოვრების საგზურად

## მიხეილ გოლიაძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა

### ანდერძი

*„მე სრულიად ახალგაზრდა ვარ! როდესაც თქვენ გიმზერთ, მე ვმაღლდები, რადგან თქვენი ჩემდამი სითბო, დაფასებამდე მაძლევს ძალას, ისე მიყვარდეთ, როგორც მიყვარს თეატრი, ჟურნალი გაზეთები და ყველაზე საყვარელი –ბავშვები! მთელი საქართველო!..*

***მიხეილ გოლიაძე,***



მოსწავლეთა თეატრის პირველ დამაარსებელ და რეჟისორ მიხეილ გოლიაძესთან 1958 წელს შემთხვევით აღმოჩნდი დრამატულ წრეში. უცებ როლიც მომცეს, ჩემი პირველი როლი –ციცინო, თ. გულაძის პიესაში „შავი ბიჭი,“ როლისათვის ტანსაცმელი მომინახა, საკუთარი ხელით გრიმიც გამიკეთა, ჩემმა პირველმა რეჟისორმა. მისი თითების სითბო დალოცვასავით გამყვა მთელი ცხოვრება. იმ მეხუთეკლასელ გოგონას ვერც კი წარმოედგინა, ხელოვნების რთულ სამყაროში როგორ შევაბიჯე....

მოუღლელი ხელოვანი, ბ-ნი მიხეილ გოლიაძე ყოველ წელს ახალ წელს დადგმებს წარმოადგენდა. ჩვენც, მოსწავლეები , სკოლის დამთავრებამდე ვმონაწილეობდით ამ სპექტაკლებში: „კომბლე,“ „ნაცარქექია,“ „ჭინჭრაქა,“ „გიქორი,“ ზამთრის ზღაპარი,“ „ამბავი ორი ბიჭისა“ და მრავალი სხვა. ჩვენს რეჟისორს მუდმივი კავშირი ჰქონდა უფროს მეგობართან–- „შეფთან“, როგორც თავად უწოდებდა, ოზურგეთის პროფესიულ თეატრთან. ჩვენ კი, ბავშვებს, ამის გამო ზეიმი გვქონდა. მე, ბავშვი პიესა „ნაცარქექიაში“, - იბრუხტის როლს ვთამაშობდი. ჩემი პარტნიორი კი, დიდი მსახიობი –რომან ლომინაძე იყო, ყაფლანის როლში. გვიხაროდა და გვეამაყებოდა ბავშვებს მათთან შეხვედრა.

ბატონი მიხეილი საბავშვო თეატრში სპექტაკლების დასადგმელად იწვევდა რეჟისორებს: გრ. ლაღიძეს, ლ. პაქსაშვილს, გ. აბესაძეს, ვ. ჩიგოგიძეს, ო. კუტალაძეს, შ. ბაბილოძეს, ი. ჯიჯიეშვილს. ასევე იწვევდა გამორჩენილ მხატვრებს: მამია მალაზონიას, შოთა დარჩიას, გერონტი ლლონტს, ლოტბარებს, ქორეოგრაფებს.

ოზურგეთის თეატრის მსახიობები: ოლია მოლარიშვილი, ანა ანდღულაძე, მადლენა დონაძე, ვლადიმერ ბაჯელიძე, გივი ახმეტელი, ამირან ქადეიშვილი, როზა სარიშვილი ხშირად მონაწილეობდნენ ბავშვთა წარმოდგენებში. მსახიობი ვლ. მექვაბიშვილი 25 წელი ბავშვთა თეატრის საპატიო წევრად ითვლებოდა. შემდგომში ეს წოდება გივი ახმეტელს, ზაზა ჯინჭარაძეს და ალექსანდრე ლომიძეს მიენიჭათ.

დაუღალავი შემოქმედი, ბ-ნი მიხეილი თეატრისთვის, რეჟისორიც იყო, პედაგოგიც, რეკვიზიტორიც, დეკორატორიც, გრიმიორიც, პროგრამა-აფისების შემდგენელი და გამავრცელებელიც. მთელი შემოქმედებითი ორგანიზაციული საკითხების მომგვარებელი.

თეატრალური წრის დაარსებიდან 15 წლისთავზე, ოზურგეტის დიდი თეატრის დირექტორის, ბატონ ბეჟან ნაკაიძის წარდგინებით, ბავშვთა თეატრის წოდება მიენიჭა. მრავალი სიგელითა და დიპლომით აღინიშნა თეატრის ნაყოფიერი შრომა. განსაკუთრებული გახლდათ წარმატება 1966 და 1968 წლებში რესპუბლიკურ საბავშვო ოლიმპადებზე. დიდი მედლით, დიპლომებით და ლაურეატის წოდებით დაჯილდოვდა თეატრი. თეატრალურ კვირეულზე კი ალ. ჟორჟოლიანის სახელობის პრიზი მიენიჭა.

რაოდენ ამაყობდა ამ წარმატებებით ბატონი მიშა. თავის დადგმებში იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ქართულ ზღაპრებს ანიჭებდა. ამით ბავშვებს მათთვის საინტერესო თემებზე ესაუბრებოდა. მოსწავლეებისათვის კი, შექმნა ლიტერატურული თეატრი, „გაკვეთილის შემდეგ, გაკვეთილის გაგრძელება.“ მეც ბევრჯერ მიმიღია მონაწილეობა ამ ღონისძიებებში. სკოლის მოსწავლეები და პროფესიონალი მსახიობები, მხატვრული კითხვით წარმოვადგენდით ქართული მწერლობის კლასიკოსებს: ნ. ლორთქიფანიძეს, ი. ჭავჭავაძეს, ს. კლდიაშვილს, გ. ტაბიძეს, ა. კალანდაძეს, ლ. სტურუას თუ სხვების ლიტერატურულ შედევრებს.

სად არ ვთამაშობდით წარმოდგენებს, თეატრალიზებულ ღონისძიებებს, ოზურგეთის დიდი თეატრის სცენაზე და სოფლის კლუბში, ჩაის ტექნიკუმის, სკოლების, ბიბლიოთეკების, მასწავლებელთა, მედიცინის მუშაკთა სახლის დარბაზებში. თუ ტარდებოდა ოზურგეთში რაიმე კულტურული ღონისძიება, ბატონი მიხეილიც იქ ბრძანდებოდა, მოფუსფუსე, დახმარებისთვის მზად მყოფი და დაუზარებელი. დიდი სითბოთი და სიყვარულით მოგვესალმებოდა, საგაზეთო წერილით, სატელევიზო გამოსვლით ამცნობდა საზოგადოებას მოსალოდნენ თუ ჩატარებული ღონისძიებების შესახებ. საახალწლოდ მორთავდა თეატრს, გააფორმებდა ნაძვის ხეს.

იგი დიდ მუშაობს ეწეოდა, როგორც ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე. როგორი სტენდი დაგვიტოვა კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძეზე და სხვა კულტურის მოღვაწეებზე. როცა თეატრს არ ჰქონდა საშუალება, ალბომები შეეძინა, ბატონი მიშა მუყაოს ფურცლებიდან თავად კერავდა დიდ ალბომებს, თავისი არაჩვეულებრივი კალიგრაფიით მორთავდა ადრესებს, პროგრამებს, საზეიმოდ მორთულ გამოფენებს. თავისი უანგარო ენთუზიაზმით თეატრის მრავალი საეტაპო წლების და მიღწევების მატიანე დაგვიტოვა თეატრის 100, 120 წლისთავის იუბილეებზე, ნემიროვიჩ-დანჩენკოს მუზეუმის გახსნისას, თუ მოსკოვის სამხატვრო თეატრის სადადგმო ჯგუფის მიერ ოზურგეთის თეატრში ალ ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავეების“ დადგმის შესახებ. დაგვიტოვა აფიშები, პროგრამები, ფოტოსურათები. ამ სურათებით მუზეუმის გამგემ თამარ თოთიბაძემ და თეატრის ახალგაზრდა მუშაკებმა გამოფენა მოაწყვეს და მუზეუმს მისი დამაარსებლის, მიხეილ გოლიაძის სახელი მიანიჭეს.

ბატონ მიხეილს განსაკუთრებულად უყვარდა ბავშვები. მის მემკვიდრედ მთვლიდა ბავშვთა თეატრის შექმნისათვის. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს მას ეწოდა მოსწავლე ახალგაზრდობის თეატრი „ილონი“. 10 წელი ღირსეულად ვაგრძელებდი მის დაწყებულ საქმეს. 2000 წელს შევქმნით მოსაწავლეთა ხელოვნების დარგებით აღზრდის სკოლის პროექტი: „ჰარმონიული აღზრდის ცენტრი „უნიკუმი“, მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტმა მხარდაჭერა ჰპოვა განათლებისა და კულტურის დარგის მუშაკებში, ვერ მოვიპოვეთ ეკონომიური მხარდაჭერა.

ამ მხრივ სულ სხვა სურათი იყო გასული საუკუნის 50-იან 60-იან წლებში. რაიონის იმჟამინდელი ხელმძღვანელის ალექსანდრე თოიძის თაოსნობით აშენდა ე.წ. „პიონერთა სახლი“-ორსართულიანი ლამაზი შენობა ქალაქის ცენტრში, დიდი ეზოთი, წრეობრივი მუშაობისთვის საჭირო მრავალი ოთახით, მცირე სცენითა და მაყურებელთა დარბაზით. ამ სახლს მრავალი ხელმძღვანელი ჰყავდა, მათგან გამოვყოფდი გურამ კუნჭულიას და მიხეილ გოლიაძეს. ბატონი მიხეილი თავდაპირველად ამ სახლის დირექტორი იყო, შემდეგ კი მისი უცვლელი სამხატვრო ხელმძღვანელი.

იგი იგონებს: „ამ სახლში მუშაობისთვის საუკეთესო პირობები იყო. მუშაობდა რამდენიმე წრე: ცეკვის (ხელმძღვანელები ან. ქინქლაძე, გიორგი სალუქვაძე), სიმღერის (არტემ, ვლადიმერ ერქომაიშვილები), სამხატვრო –გერონტი ლლონტი, ქანდაკების –კუკური ქინქლაძე, მეჩონგურეთა - მარგალიტა სადრაძე, ხელგარჯილობის -ნუნუ ფერაძე, ლიტერატურის – მარგალიტა კუნჭულია, ფოტოსა და მხარეთმცოდნეობის წრეს ხელმძღვანელობდა ოთარ ვაჩიბერაძე.“

ქალაქსა თუ სოფელში, ვინც კი აქტიური ბავშვი იყო, ყველანი აქ დადიოდნენ, რომლებიც შემდეგ საზოგადოების ღირსეულ პიროვნებებად წარმოგვიდგნენ. ზოგიერთს გავიხსენებთ ძმები: სალუქვაძეები, ბეშიტაიშვილები, ტოტოჩავები, ოთხმეზურები; და-ძმა რუსუდან და ემზარ ბერიძეები, მანანა და ნუკრი ვაშაყმაძეები, ზაირა და დემური კალანდაძეები; იოსებ ნაკაიძე, მანანა გობრონიძე, გულიკო ლომჯარია, ვასილ ჩიგოგიძე, გურამ წიტაიშვილი და მრავალი სხვა.

დღეს კომპიუტერთან მიჯაჭვული ბავშვების „სახსნელად“ როგორ გვჭირდება ხელოვნების სკოლები, მეცენატები. ამ ფონზე მისასალმებელია ოზურგეთის თეატრის სტუდიაში მსახიობების: ვერიკო ხუხუნაიშვილის, ბელა კიკვაძის, თამარ მდინარაძის, შორენა გვეტაძის, ვახტანგ ჩხარტიშვილის მუშაობა. მისასალმებელია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ საქმიანობაც.

ბატონი მიხეილი თეატრალურ ინსტიტუტში 2-წლიანი სტაჟირების შემდეგ მუშაობდა მარჯანიშვილის თეატრში რეჟისორის თანაშემწედ; ბათუმისა და ახალციხის თეატრებში –რეჟისორად; იყო მასწავლებელთა სახლის დირექტორი, ჩვენი თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე. სახალხო განათლების წარჩინებული, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი. აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ მედიასთან.

პროფესორი იური სიხარულიძე იგონებს: „ცნობილი მსახიობები ვერიკო ანჯაფარიძე, სესილია თაყაიშვილი, ვასო გოძიაშვილი, კინომსახიობი ნატო ვაჩნაძე აფასებდნენ ბატონი მიხეილის მოღვაწეობას, მის უანგარო კეთილშობილებას. მას მოიხსენიებდნენ, როგორც უაღრესად პრინციპულ, მაღალზნეობრივ, კულტურულ ადამიანს. ასევე მის ბრწყინვალე ოჯახს; მშობლებს – ილია გოლიაძეს და აზნაურის შთამომავალს ოლღა დათუნაიშვილს; მეუღლეს –დამსახურებულ პედაგოგს მერი ჯაველიძეს...“

სახლს, სადაც დაიბადა და გაიზარდა ბატონი მიხეილი, მისი ღვაწლის აღსანიშნავად მემორიალური დაფა ამშვენებს.

1951 წლის 14 თებერვალს შეიქმნა ბავშვთა თეატრი. 2002 წელს, 76 წელს მიტანებული ხელოვანი კვლავ დიდი რუდუნებით ემზადებოდა საიუბილეო, 50 წლისთავის აღსანიშნავად. მისასალმებელი სიტყვაც კი დაწერა. ზეიმამდე 9 დღით ადრე, 6 მაისს იგი ანდერძად იქცა.

„როდესაც თქვენ გიმზერთ, მე ვმაღლდები...“

ბატონი მიხეილი, იქ ზეციურ საქართველოში უკვდავებაში გაემართა...

ჩვენ კი, უიმისობით გამოწვეული შეგრძნებით, მასზე მოგონებისას გავიფიქრებთ....

„კაცი, რომელიც მართლაც დააკლდა ქალაქს!...

**ზაირა თოთიბაძე,**

საქართველოს დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენოსანი, მე-12 საბავშვო თეატრალური ოლიმპიადის ლაურეატი და ოქროს მედალოსანი.

## *სულთათანა*

## თორნიკე თოიძის გახსენება



რამდენი ტკივილიანი წელი გავიდა, დედი. უსაზღვრო მონატრებამ დაისადგურა შენი დედის გულში. უკვე ზრდასრული, ჩამოყალიბებული „გოლიათი“ კაცი ხარ, შენი თანატოლები წლეულს სკოლას ამთავრებენ. კარგა ხანია შენი ცხოვრების ბოლო ზარმა შემოკრა, სულ მალე კი შენი სკოლის ბოლო ზარი დაირეკება. შენი დედიკოს გაბზარული გულიც კიდევ ერთხელ მწარედ ამოიკვნესებს. ბევრი რამ შემაძლებინე, ბევრი მომათმენინე, ისევ შენი სახელისათვის, შენი დიდებისათვის, შენი კაცური კაცობისათვის. რამდენი რამე მინდა დაგიწერო, გითხრა, ყველა აზრი ერთით მთავრდება მ ე ნ ა ტ რ ე ბ ი! ვხუჭავ თვალებს და ვიხსენებ შენს ბავშვობას, შენს ტკბილ კოცნას, მოფერებას, ბავშვობის ყოველი დღე ილვიძებს ჩემს თვალწინ, ოცნებით სულ. შენთან ვარ, მაგრამ რეალობას, როგორც შუშის კედელს, ისე ვეჯახები. ცხოვრება წუთისოფელიაო და ველოდები იმ ბედნიერ წუთს, როცა უფალი შეგვახვედრებს და სამუდამოდ ერთად ვიქნებით. უფალს ებარებოდე, ჩემო ბუნთულა ანგელოზო!

შენი **დედიკო.**

## ნორა დარჩიას გახსენება



23 აპრილს ერთი წელი შესრულდა, რაც ჩვენგან წახვედი, დედა. ძალიან დააკლდი შენს ოჯახს, მეუღლეს, შვილიშვილებს – კობას და ნინის. ისინი ყოველდღე შენს ხსენებაში არიან. ნინი უკვე მეხუთე კლასშია და კარგად სწავლობს, ხოლო შენმა უფროსმა შვილიშვილმა კობამ წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და კვლავ განაგრძობს სწავლას, ამავე დროს, წარმატებით საქმიანობს.

გაზაფხული ტკივილით მოვიდა ჩვენთვის. ეს ტკივილი და მონატრება ყოველ წელს, აპრილის მოსვლასთან ერთად, დაგვიმძიმდება უშენოდ.

შენი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ჩვენს გულებში.

შენი **ოჯახი.**

ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრი ღრმა მწუხარებით იუწყება სპორტის ოსტატის, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოსა და საერთაშორისო ტურნირების არაერთგზის გამარჯვებულის, გურიის ჭიდაობის ფედერაციის ვიცე პრეზიდენტის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **ალექსანდრე ბოლქვაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი „ალიონი“ ღრმა მწუხარებით იუწყება ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, ლიხაურის ჭიდაობის სკოლის ხელმძღვანელის, ყველა ადამიანური ღირსებით შემკული პიროვნების **ალექსანდრე ბოლქვაძის** გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებული ოჯახს.


## განცხადებები

**იყიდება (ქირავდება) ბინა გრიბოედოვის ქ. №21-ში I სართული 90 კვ. მ, რომელიც გამოიყენება საცხოვრებლად, კომერციული საჭიროებისათვის და საოფისედ.**

* * *

**იყიდება მიწა 9400 კვ. მ ქობულეთის ტრასაზე, ანასეულის გადასახვევიდან 400 მეტრის დაშორებით.**

**ტელ. 599 58 75 32.**

# ომარ ხურციძის ვარსკვლავი გაიხსნა



**ალიონი.** ქ. ოზურგეთში, ალ. წუწუნავას სახელობის სახელმწიფო თეატრის ფოიეში ცნობილი მოცეკვავის„ —საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის ხელოვნების დარგში, ომარ ხურციძის ვარსკვლავი გაიხსნა.

ოზურგეთის თაეტრში საქართველოს ქორეოგრაფთა მთელი კოჰორტა იყო წარმოდგენილი. გაიმართა გრანდიოზული კონცერტი. ოზურგეთის თეატრის ფოიეში ჯუმბერ ღუნდუას, ჯემალ ჭკუასელის, გაბრიელ მდინარაძის, ამირან ქადეიშვილის, ვასილ ჩიგოგიძის ვარსკვლავებს ამიერიდან ომარ ხურციძის ვარსკვლავიც მიემატა.

ომარ ხურციძე სოფელ თხინვალიდანაა. ამ სოფლის სკოლაში სწავლობდა, სადაც მას ქართულ ხალხურ ცეკვებს ქორეოგრაფი მამია წერეთელი ასწავლიდა. შემდეგ კი —რაიონულ ანსამბლში ცნობილი ქორეოგრაფი, საქართველოს დამსახურებული არტისტი ვახტანგ მეგრელაძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ცეკვავდა უნივერსიტეტთან არსებულ ქორეოგრაფიულ ანსამბლში, რომელსაც საქართველოს სახალხო არტისტი რომან ჭოხონელიძე ხელმძღვანელობდა. იმავე წლებში ცეკვავდა ქალაქ რუსთავის საქალაქო სახალხო ანსამბლ „სალხინოში," ქორეოგრაფ ბუხუტი დარახველიძესთან, შემდეგ რუსთავის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც ანზორ ერქომაიშვილი და ქორეოგრაფი რევაზ ჭოხონელიძე ხელმძღვანელობდნენ.

1968 წელს ომარ ხურციძე მონაწილეობდა ბულგარეთის საერთაშორისო სტუდენტურ ფესტივალზე, სადაც პირველი ადგილი და მედალი დაიმსახურა.

1971 წლიდან 30 წლის განმავლობაში იგი ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური ხალხური ცეკვების დამსახურებულ ანსამბლში, ერთ-ერთ წამყვან სოლისტ მოცეკვავედ, ისეთ ცნობილი მოცეკვავების გვერდით, როგორებიც არიან ფრიდონ სულაბერიძე, ომარ მხეიძე, იამზე დოლაბერიძე და მანანა ავაზაძე. ანსამბლის რეპერტუარში წლების განმავლობაში ცეკვავდა რვა ცეკვაში, სადაც ასრულებდა სოლო ნომრებს. არის მრავალი ფესტივალის მონაწილე, ანსამბლთან ერთად ჩატარებული აქვს თითქმის 3500-ზე მეტი კონცერტი.

1985 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება, ხოლო 1995 წელს – ღირსების ორდენი.

ომარ ხურციძე 20 წელზე მეტია ქ. თბილისის მერიის კულტურის სამსახურთან არსებულ ილიკო სუხიშვილის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ სტუდიაშია. მის მიერ აღზრდილი ქალ-ვაჟები ამშვენებენ სახელმწიფო ანსამბლებს.

2003 წელს საქარველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით მიენიჭა უმაღლესი კატეგორიის პედაგოგის წოდება.

ოზურგეთში, ომარ ხურციზის ვარკვლავის გახსნისადმი მიძღვნილ კონცერტში ცნობილი „ცისფერი ტრიო" მონაწილეობდა. კონცერტის შემდეგ ტრიოს წევრებს (თამაზ სეფერთელაძე, მალხაზ თავართქილაძე, დავით აბესაძე) გაზეთ „ალიონს" გავესაუბრეთ.

—საოცარი კაცია ომარ ხურციძე. ხელოვნებაში ხომ უდიდეს წარმატებას მიაღწია, შრომაშიც თავდაუზოგავია. უყვარს მეგობრები და ამიტომაც ვართ ჩვენ აქ —გვითხრეს მათ.

# მილოცავთ!



შპს „კარგო" გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

აქ შეიძენთ საუკეთესო ხარისხის სამშენებლო და სამეურნეო მასალებს, სანტექნიკას, ელექტროტექნიკას!

მხოლოდ მაღალი ხარისხი! გვეწვიეთ!

ქ. ოზურგეთი, დ. აღმაშენებლის №4

(ღ)

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონული ორგანიზაცია ულოცავს ქ. ოზურგეთის №-3 საჯარო სკოლის პედაგოგს, პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელს **მზია შევარდნაძეს** პირველი სიხარულის, უსაყვარლესი შვილიშვილის, პატარა **ელისაბედის** შეძენას. ვუსურვებთ მედნიერ ბავშვობას, უღრუბლო ცას და ლამაზ მომავალს.

არაჩვეულებრივ პიროვნებას, ცნობილ ჟურნალისტსა და არაერთი წიგნის ავტორს, ბატონ **თემურ მარშანიშვილს** ვულოცავ დაბადების დღეს —28 აპრილს.

ვუსურვებ მეტ საგაზეთო სტატიას და ახალ–ახალ ლექსებს.

წარმოგიდგენთ თემურის ერთ პატარა ლექსს:

**გამოთხოვება წყაროსთან**

ო, როგორ გვიყვარს ერთურთი,
შენ და მე, ჩემო ზედაშე!
სოფლისთვის ასე აჯობებს,
შენ იდინო და მე დავშრე...

მეგობრები ბახუტა ოთხმეზური,
ნუგზარ ასათიანი, გიორგი გოგოლაძე

# ოზურგეთელმა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ბათუმშიც გვასახელეს



15-17 აპრილს ქ. ბათუმში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 2002-2004 წლებში დაბადებულთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში წარმატებას მიაღწიეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდი.

გურამ მაჭარაშვილის აღსაზრდელებიდან ჩემპიონი გახდა 53 კგ წონით კატეგორიაში საბა მამალაძე, რომელმაც ფინალურ ორთაბრძოლაში ზერბაიჯანის ჩემპიონი დაამარცხა, მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა 38 კგ წონით კატეგორიაში კახა ძირკვაძემ, ხოლო მესამე ადგილზე გავიდნენ 26 კგ წონით კატეგორიაში – თორნიკე შაინიძე, 38 კგ წონით კატეგორიაში – მანუჩარ გორგაძე და 47 კგ წონით კატეგორიაში – დათო შავაძე.

ზურაბ და ირაკლი ზურაბიანების აღსაზრდელმა ცოტნე ცინცაძემ 85 კგ წონით კატეგორიაში მეორე ადგილი დაიკავა.

# გასვლითი ღონისძიება სიყვარულის დღეს



საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონულმა ორგანიზაციამ 15 აპრილს სიყვარულის დღე ტრადიციისამებრ გასვლითი ღონისძიებით აღნიშნა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ პროფკავშირული აქტივი, ახალგაზრდა პედაგოგები, ღვაწლმოსილი პედაგოგები, რომელთაც საიუბილეო თარიღი (50, 60,70, 80 წელი) შეუსრულდათ. მონაწილეებმა მოილოცეს ერკეთის მთავარანგელოზის სახელობის დედათა მონასტერი, გაეცნენ მონასტრის დაარსების ისტორიას. ღონისძიება გაგრძელდა დიდი ქართველი მწერლის, საზოგადო მოღვაწის ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში. აქვე გაიმართა ღონისძიების მხატვრული ნაწილი, რომელიც მიეძღვნა იუბილარ პედაგოგებს. მათ გადაეცათ მისალოცი ბარათები და მოკრძალებული საჩუქრები.

ამით დასრულდა ერთი ლამაზი

# ავტომობილები განვადებით





„იმპორტი-2 გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.

(რ)

# 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მზე, წვიმა, ღრუბელი +10+19 +9+26 | მზე, +13+24 | წვიმა, +10+19 | მზე, ღრუბელი +9+16 | მზე, ღრუბელი +9+15 | მზე, ღრუბელი +10+13 | მზე, ღრუბელი +13+18 |
| 25 აპრილი ორშაბათი | 26 აპრილი სამშაბათი | 27 აპრილი ოთხშაბათი | 28 აპრილი ხუთშაბათი | 29 აპრილი პარასკევი | 30 აპრილი შაბათი | 1 მაისი კვირა |